საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 2 20 0000842461

16/09/2020

თვითმმართველ ქალაქებს
სათემო მუნიციპალიტეტებს

ასლი: საგანმანათლებლო რესურსცენტრებს

გაცნობებთ, რომ გაეროს ბავშვთა ფონდისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა COVID-19-ის პრევენციასთან დაკავშირებული პოსტერები, რომელთა შინაარსი მორგებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის და მათი გამოყენება ასევე შესაძლებელია დაწყებითი განათლების საფეხურის ბავშვებისთვისაც. გამარტივებული ტექსტები და ილუსტრაციები გადმოსცემს შემდეგ თემებს:

1. როდის არის აუცილებელი ხელების დაბანა.
2. როგორ დავიბანო ხელები სწორად.
3. როგორ დავიცვა თავი კორონა ვირუსისგან.
4. ფიზიკური დისტანცია.
5. რა არის კორონა ვირუსი.
6. დახველება/დაცემინების წესები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩართული იყო წარმოდგენილი რესურსის შემუშავების პროცესში. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოგმართავთ რეკომენდაციით, თანდართული ფაილები განათავსოთ თქვენი მუნიციპალიტეტის/გაერთიანების ვებ-გვერდზე. ასევე, თქვენ ხელთ არსებული რესურსის გათვალისწინებით შესაძლებელია პოსტერის ბეჭდვა და საბავშვო ბაგა-ბაღებში განთავსება.

წარმოდგენილი რესურსები სასარგებლო და ადვილად აღსაქმელი იქნება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვისაც. შესაბამისად რეკომენდებულია მათი გავრცელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

პატივისცემით,

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სკოლამდელი და ზოგადი განათლების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კალანდაძე ლალი